ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 298

"13" სექტემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და სოლომონ ვირსალაძის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.15.04.006.015, №01.15.04.006.017) შპს „HB მადიანისთვის" (ს/კ: 401958896) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და სოლომონ ვირსალაძის ქუჩებს შორის მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: №01.15.04.006.015, №01.15.04.006.017) შპს „HB მადიანისთვის" (ს/კ:401958896) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 7 სექტემბრის №35.12.771 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და სოლომონ ვირსალაძის ქუჩებს შორის მდებარე 124 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.006.015) და ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და სოლომონ ვირსალაძის ქუჩებს შორის მდებარე 220 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.006.017) შპს „HB მადიანისთვის" (ს/კ:401958896) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 17 000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2026 წლის 30 ნოემბრამდე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი